# საქართველოს კანონი

## „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.10.2013, სარეგისტრაციო კოდი: 140030000.05.001.017194) 57-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოქმედებათა განხორციელებისას დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში სამინისტროს გენერალური ინსპექცია შესაბამის მასალებს დაუყოვნებლივ, საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, გადასცემს საქართველოს გენერალურ პროკურატურას ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ივლისიდან.

*საქართველოს 2018 წლის 27 დეკემბრის კანონი №4256 – ვებგვერდი, 29.12.2018წ.*

საქართველოს პრეზიდენტი — გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

21 ივლისი 2018 წ.

N3284-რს